

Google Pay-ში ლიბერთის საბანკო ბარათის ჩართვის და გამოყენების პირობები

1. შესავალი

1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სს ლიბერთი ბანკის (ს/ნ 203828304) (შემდგომში - **ბანკი**) კლიენტის მიერ ბანკის ბარათის Google Pay-ში ჩართვის/დამატების, Google Pay სერვისით სარგებლობის პირობებს (შემდგომში - **პირობები**) და წარმოადგენს ანგარიშით მომსახურების პირობების დანართს.

1.2. მოწყობილობაში ბარათის ჩართვამდე/დამატებამდე და Google Pay სერვისით სარგებლობამდე კლიენტი ვალდებულია დაწვრილებით გაეცნოს წინამდებარე პირობებს და Google Pay სერვისით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს მისი შესრულება სრულად და ჯეროვნად.

1.3. ნებისმიერ შემთხვევაში კლიენტის ან/და დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ მოწყობილობაში ან/და Google Pay-ში ბარათის ან/და დამატებითი ბარათის ჩართვით/დამატებით კლიენტი და დამატებითი ბარათის მფლობელი აცხადებენ თანხმობას წინამდებარე პირობებზე.

1.4. ბარათის ან/და დამატებითი ბარათის მოწყობილობაში დამატებით კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი ეთანხმება Google Pay-ს გამოყენების პირობებს.

1.5. Google Pay-ს სერვისი ხელმისაწვდომია მხოლოდ Visa და MasterCard ტიპის ბარათებისათვის, ამასთან, Visa Electron, Maestro და Business ტიპის ბარათებისთვის აღნიშნული სერვისი არ არის ხელმისაწვდომი. Google Pay-ში ჩართვის მიზნით კლიენტი უფლებამოსილია მიმართოს ბანკს Maestro და Visa Electron ტიპის ბარათის ჩანაცვლების მოთხოვნით.

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. თუ წინამდებარე პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (პირობების) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.1. ანგარიშით მომსახურების პირობები - საბანკო მომსახურების წესები და პირობები, რომელიც განსაზღვრავს საბანკო პროდუქტების და საბანკო მომსახურების აღწერილობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს საბანკო პროდუქტების და მომსახურების სარგებლობის პროცესში იმ ბარათებთან და საბარათე ანგარიშებთან დაკავშირებით, რომლის ჩართვასაც კლიენტი განახორციელებს Google Pay-ში. შესაბამისი ანგარიშით მომსახურების პირობები განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე www.libertybank.ge;

2.1.2. აუთენტიფიკაცია - Google Pay-ს მიერ შეთავაზებული დაცული აუთენტიფიკაცია, პასკოდის, თითის ანაბეჭდების (Touch ID), სახის ამოცნობის ან სხვა წვდომის კოდი, რომელსაც სთავაზობს Google Pay.

2.1.3. დამატებითი ბარათის მფლობელი - კლიენტი ან/და კლიენტის მიერ დასახელებულ სხვა პირი, რომელზეც ბანკს გაცემული აქვს დამატებითი ბარათი;

2.1.4. Google - ირლანდიაში რეგისტრირებული იურიდიული პირი - კომპანია Google Ireland Limited, რომლის მისამართია: Gordon House, Barrow Street, Dublin 4, Ireland

2.1.5. მოწყობილობა - ისეთი მოწყობილობა როგორცაა მობილური ტელეფონი ან ჭკვიანი საათი, რომელიც ფუნქციონირებს Android-ის ოპერატიული სისტემით და რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია ბარათის რეგისტრაცია Google Pay-ში გადახდების განსახორციელებლად;

2.1.6. Google Pay - მობილური/ციფრული გადახდის სისტემა/სერვისი შექმნილი Google-ის მიერ რომელიც საშუალებას აძლევს მოხმარებლებს განახორციელონ გადახდები მოწყობილობის და მოწყობილობაში ჩართული/დამატებული ბარათების გამოყენებით.

2.2. პირობებში მითითებულ სხვა ტერმინებს ენიჭება იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია ანგარიშით მომსახურების პირობებით.

2.3. ანგარიშის მომსახურების პირობებით განსაზღვრული ბარათთან დაკავშირებული წესები და რეგულაციები, მათ შორის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ბარათის მფლობელის ვალდებულებები, სრულად გავრცელდება მოწყობილობაში დამატებულ/ჩართულ ე.წ. გაციფრულებულ ბარათზე/საბარათე მონაცემებზე.

2.4. თითის ანაბეჭდები (Touch ID), სახით იდენტიფიკაცია ან სხვა ახალი ტექნოლოგიის სახით, რომელსაც სთავაზობს Google Pay, განიხილება ბარათის გამოყენებით ოპერაციებზე ტრანზაქციების დადასტურებად. თუ მობილურ ტელეფონში ავტორიზაციისთვის და/ან ოპერაციის დადასტურებისთვის გამოყენებული იქნება სხვა პირის მონაცემები, ისინი ჩაითვლება კლიენტის აუთენტიფიკაციის მონაცემებად.

3. მოწყობილობაში ბარათის დამატების პირობები

3.1. კლიენტი უფლებამოსილია განახორციელოს მისი ბარათის, ხოლო თავის მხრივ დამატებითი ბარათის მფლობელი უფლებამოსილია განახორციელოს დამატებითი ბარათის ჩართვა/დამატება მის კუთვნილ მოწყობილობაში იმ პირობით, რომ:

3.1.1. კლიენტი ან/და დამატებითი ბარათის მფლობელი იდენტიფიცირებული იქნება ბანკის ან/და Google-ის მიერ განსაზღვრული წესით;

3.1.2. შესაბამის ბარათზე ან საბარათე ანგარიშზე ბანკის მიერ არ იქნება განსაზღვრული პირობები, რომელიც ზღუდავს ბარათის მოწყობილობაში დამატების შესაძლებლობას.

3.2. Google Pay-ში ბარათის/დამატებითი ბარათის ჩართვა ან/და ჩართული ბარათის/დამატებითი ბარათის Google Pay-დან წაშლა შესაძლებელია განხორციელდეს კლიენტის ან შესაბამისი დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ Google Pay მიერ განსაზღვრული პირობებით, წინამდებარე პირობების გათვალისწინებით.

3.3. Google Pay სერვისით სარგებლობისთვის მოწყობილობაში ბარათის დამატებისას კლიენტს შესაძლოა მოეთხოვოს ვერიფიკაციის პროცესის გავლა. ვერიფიკაცია შესაძლებელია მოხდეს ერთჯერადი კოდით, რომელიც იგზავნება კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებულ საკონტაქტო ნომერზე ან სატელეფონო ცენტრის საშუალებით ბანკის მიერ დადგენილი იდენტიფიკაციის პროცესის შესაბამისად. ამასთანავე, კლიენტი ნებას რთავს, ბანკს განხორციელოს კლიენტთან სატელეფონო ან/და სხვა სახის კომუნიკაცია კლიენტის ვერიფიკაციის მიზნით ან/და დაუსრულებელი ვერიფიკაციის შეხსენების თაობაზე.

3.4. მას შემდეგ რაც კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი განხორციელებს Google Pay-ში ბარათის/დამატებითი ბარათის დამატებას/ჩართვას იგი უფლებამოსილი იქნება Google Pay-ს საშუალებით განხორციელოს ავტორიზებული ტრანზაქციები მის საბარათე ანგარიშზე. Google Pay-ში ჩართული ბარათით/დამატებითი ბარათით გადახდების განხორციელება შესაძლებელია: ა) მოწყობილობის საშუალებით უკონტაქტო გადახდის ტერმინალებზე განთავსებით ან აპლიკაციების და ვებგვერდების საშუალებით სადაც გამოსახულია Google Pay-ს ნიშანი. Google-ისა და ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, კლიენტს შესაძლოა მოეთხოვოს Google Pay-ს საშუალებით ბარათით ანგარიშსწორების პროცესის შესრულებამდე მოახდინოს აუთენტიფიკაცია Google Pay-ს წესების შესაბამისად.

3.5. Google Pay-ში შესაძლებელია რამდენიმე ბარათის დამატება, ასევე ერთი ბარათის რამდენიმე მოწყობილობაში დამატება, ამასთან ბარათების რაოდენობაზე შესაძლოა მოქმედებდეს შეზღუდვა, რომლის შესახებაც ინფორმაცია ხელმისაწვდომია სატელეფონო სერვის ცენტრში ნომერზე: +995 32 255 55 00 დარეკვით ან ბანკის ნებისმიერ ფილიალში ვიზიტით.

3.6. Google Pay-ს სერვისის სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელების მიზნით ბანკი უფლებამოსილია კლიენტს შესთავაზოს რიგი აქცია/ბენეფიტი, საკუთარი შეხედულებისამებრ.

3.7. Google Pay-ს სერვისით სარგებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სარგებლობის ინსტრუქცია მოცემულია ბანკის ვებ გვერდზე.

4. უსაფრთხოება და პასუხისმგებლობა

4.1. კლიენტისათვის ცნობილია რომ ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს მოწყობილობაზე წვდომა და მისი გამოყენების შესაძლებლობა ასევე შეძლებს განახორციელოს Google Pay-ში დამატებული/ჩართული ბარათის/დამატებითი ბარათის გამოყენება.

4.2. ბარათის/დამატებითი ბარათის Google Pay-ში ჩართვის/დამატების შემდგომ კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ:

4.2.1. მოწყობილობის გამოყენება შესაძლებელი იყოს მხოლოდ ბარათის მფლობელის მიერ;

4.2.2. მოწყობილობაზე წვდომისთვის გამოიყენოს აუთენტიფიკაციის მეთოდები;

4.2.3. Google Pay-ს ელექტორული საფულე ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ ბარათის მფლობელის მიერ;

4.2.4. მოწყობილობის პასკოდი შენახული იყოს იმავე უსაფრთხოების სტანდარტებით და წესებით, როგორც წვდომის კოდები, მათ შორის:

- არ გაუზიაროს ის მესამე პირს;
- არ განახორციელოს მისი იმგვარი შენახვა, რომ რაიმე ფორმით ხელმისაწვდომი იყოს მესამე პირისათვის;
- არ გამოიყენოს ადვილად მიხვედრადი ან გამოთვლადი პასკოდი მაგ. კლიენტი სახელი დაბადების თარიღი და ა.შ
- პასკოდის შენახვისას არ იმოქმედოს გაუფრთხილებლად/დაუდევრად.

4.2.5. დაცული იქნას მოწყობილობის უსაფრთხოება, მათ შორის არ დატოვოს მოწყობილობა უყურადღებოდ მესამე პირებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას/მდგომარეობაში;

4.2.6. არ დატოვოს მოწყობილობა დაუბლოკავ მდგომარეობაში;

4.2.7. განათავსოს მოწყობილობაზე ანტივირუსის ბოლო ვერსია და ა.შ.;

4.2.8. არ გადასცეს მოწყობილობა მესამე პირებს ან/და არ გახადოს მათთვის სხვა ფორმით ხელმისაწვდომი;

4.2.9. მოწყობილობის მესამე პირის მუდმივ ან დროებით სარგებლობაში გადაცემამდე უზრუნველყოს ბარათის/დამატებითი ბარათის სისტემიდან წაშლა;

4.3. თუ კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი მოწყობილობის განსაბლოკად იყენებს მესამე პირის თითის ანაბეჭდს, სახის ამოცნობის სისტემას ან უზიარებს მესამე პირს მოწყობილობის პასკოდს, ან გადასცემს მოწყობილობას მესამე პირს აღნიშნული გულისხმობს შესაბამისი მესამე პირისათვის Google Pay-ში ჩართული ბარათის/დამატებითი ბარათის განკარგვის უფლებამოსილების მინიჭებას. აღნიშნული ასევე გულისხმობს რომ შესაბამისი მესამე პირის მიერ ინიცირებული ტრანზაქცია ჩაითვლება ავტორიზებულად და მის მიმართ არ იქნება გამოყენებული არაავტორიზებული

ტრანზაქციისათვის განკუთვნილი წესები და პირობები. **კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის** ზემოაღნიშნულმა ქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვნად დააზარალოს საბარათე ანგარიშის მფლობელი.

4.4. თუ **მესამე პირის** თითის ანაბეჭდი და/ან სახის ამოცნობის სისტემა დარეგისტრირებულია **კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის მოწყობილობაზე** დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს მისი წაშლა. თუ **კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი** თვლის რომ **მესამე პირისათვის** ცნობილია **მოწყობილობის** პასკოდი **კლიენტმა/დამატებითი ბარათის მფლობელმა** დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული პასკოდის შეცვლა. ნებისმიერ დროს **კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი** უფლებამოსილი არიან წაშალონ **ბარათი/დამატებითი ბარათი Google Pay-**დან ან შეაჩერონ მისი მოქმედება. გასათვალისწინებელია რომ **კლიენტი** ვერ შეძლებს **დამატებითი ბარათის Google Pay-**დან წაშლა/**Google Pay-**ში მისი მოქმედების შეჩერებას, მაგრამ უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს** და მოითხოვოს **დამატებითი ბარათის** დაბლოკვა;

4.5. **კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** თუ:

4.5.1. მისი **მოწყობილობა** დაიკარგა ან მოპარეს

4.5.2. **მოწყობილობის** მომსახურებაში განხორციელდა მოულოდნელი წყვეტა, რაც შეიძლება იყოს იმის მანიშნებელი რომ ადგილი აქვს მონაცემების პორტირებას;

4.5.3. ეჭვი აქვს რომ მოხდა მისი **მოწყობილობის** უკანონო გამოყენებას ან ადგილი აქვს არაუფლებამოსილი პირის წვდომას **ბარათის წვდომის კოდებზე** მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე **ბანკი** უზრუნველყოფს **ბარათის/დამატებითი ბარათის** გამოყენების შეჩერებას და თავის მხრივ აღნიშნული დაეხმარება **კლიენტს/დამატებითი ბარათის მფლობელს** დაიცვას თავი **ანგარიშების** არაავტორიზებული გამოყენებისაგან.

4.6. **ანგარიშით მომსახურების პირობებში** თითოეული მითითება **ბარათის/დამატებითი ბარათის** უსაფრთხოების დაცვაზე მოიცავს მითითებას **Google Pay-**ს და **მოწყობილობის** უსაფრთხოების დაცვაზე

4.7. **ანგარიშით მომსახურების პირობებში** თითოეული მითითება **წვდომის კოდებზე** ასევე გულისხმობს მითითებას **Google Pay-**ს **აუთენტიფიკაციის** მეთოდებზე.

4.8. **ანგარიშით მომსახურების პირობებში** თითოეული მითითება დაკარგულ/მოპარულ **ბარათებთან** დაკავშირებით მოიცავს მითითებას **მოწყობილობის** დაკარგვაზე/მოპარვაზე.

5. ხარჯები და საფასური

5.1. **ანგარიშის მომსახურების პირობები** განსაზღვრავს **ანგარიშიდან** განხორციელებული ტრანზაქციების საფასურს და ხარჯებს. **ბანკი** არ აწესებს

დამატებით საფასურს **ბარათის Google Pay-**ში დამატებისა და **Google Pay-**ს გამოყენებისათვის. **Google Pay-**ს სერვისისთ სარგებლობისას **კლიენტს** შეიძლება დაეკისროს დამატებითი ხარჯები მობილური ოპერატორის ან სხვა **მესამე მხარის** მიერ რაზეც **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი.

6. Google Pay-ით სარგებლობის შეჩერება ან/და შეწყვეტა

6.1. **ბანკი** უფლებამოსილია დაბლოკოს **Google Pay-**ში ჩართული **ბარათი/დამატებითი ბარათი** ან/და შეაჩეროს ან შეწყვიტოს **Google Pay-**ში **ბანკის** მიერ ემიტირებული **ბარათის/დამატებითი ბარათის** მოქმედების შეჩერება ან/და შეწყვეტა თუ:

6.1.1. **ბანკს** აქვს გონივრული ეჭვი თაღლითობასთან დაკავშირებით;

6.1.2. შესაბამისი **ბარათი/დამატებითი ბარათი** დაიბლოკა, შეჩერდა ან/და გაუქმდა მისი მოქმედება;

6.1.3. დაირღვა შესაბამის ბარათთან დაკავშირებული **ანგარიშით მომსახურების პირობები**;

6.1.4. **Google Pay-**ს ან/და **საერთაშორისო საგადასახდელი სისტემის** მოთხოვნის შემთხვევაში;

6.1.5. **ბანკსა** და **Google-**ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში;

6.1.6. **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში.

7. მონაცემთა შეგროვება და უსაფრთხოება

7.1. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **მოწყობილობასთან** დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის გამოყენებული აპლიკაციის, მოწყობილობის, მოდელის, ოპერაციული სისტემის და ა.შ შესახებ) იმისათვის რათა:

7.1.1. უზრუნველყოფილი იქნას **ბარათის/დამატებითი ბარათის** სათანადო გამოყენება;

7.1.2. თავიდან იქნას აცილებული პირადი მონაცემების მოპარვა/თაღლითობა;

7.1.3. უზრუნველყოფილი იქნას **კლიენტისათვის/დამატებითი ბარათის მფლობელისათვის** მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება;

7.1.4. უზრუნველყოფილი იქნას **კლიენტისათვის/დამატებითი ბარათის მფლობელისათვის** ინფორმაციის მიწოდება სერვისებზე, რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს მათთვის;

7.2. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს ინფორმაციის (მათ შორის **კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის** პერსონალური/საკონტაქტო მონაცემების) გაცვლა **Google-**თან/**Google Pay-**სთან იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას:

7.2.1. **ბანკის ბარათის/დამატებითი ბარათს Google Pay-**ში ჩართვა/დამატება;

7.2.2. კლიენტისათვის/დამატებითი ბარათის მფლობელისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება;

7.2.3. Google Pay-ს მიერ ბანკის ბარათების/დამატებითი ბარათების გამოყენების სერვისის გაუმჯობესება და ზოგადად Google Pay-ს სერვისის გაუმჯობესება;

7.2.4. თაღლითობაში ან/და უსაფრთხოების დარღვევაში შემჩნეული პირების გამოვლენა;

7.3. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისათვის/დამატებითი ბარათის მფლობელისათვის მიუღებელია მისი მონაცემების გამოყენება ზემოაღნიშნული წესით მან უარი უნდა განაცხადოს ბარათის Google Pay-ში ჩართვაზე/დამატებაზე.

7.4. კლიენტი უფლებამოსილი იქნება უარი თქვას მისი მონაცემების მარკეტინგული მიზნით გამოყენებაზე კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

7.5. ანგარიშის მომსახურების პირობები და ბანკის უსაფრთხოების და მონაცემთა დაცვის პოლიტიკა/პოლიტიკები, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე www.libertybank.ge ასევე მოიცავს ბანკის მიერ კლიენტთან/დამატებითი ბარათის მფლობელთან დაკავშირებული მონაცემების (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავების პირობებს, თავის მხრივ Google/Google Pay დამოუკიდებლად ადგენს ბარათის მფლობელის მონაცემების გამოყენების წესებს.

8. Google Pay და მოწყობილობა

8.1. Google Pay-ს გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს Google და ბანკის ჩართულობა შემოიფარგლება მხოლოდ Google-ისათვის ინფორმაციის მიწოდებით, იმისათვის, რომ ბანკის ბარათების მფლობელებმა სრულად ისარგებლონ Google-ის სერვისებით.

8.2. ბანკი არაა პასუხისმგებელი Google Pay-ს ფუნქციონირებაზე ან/და ხელმისაწვდომობაზე, მოწყობილობის მუშაობაზე თუ ეს არ არის დაკავშირებული ბანკის სისტემის გაუმართაობასთან.

8.3. Google Pay-ს გამოყენებით კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი სრულად ეთანხმება Google Pay-ს წესებსა და პირობებს;

9. ბანკის პასუხისმგებლობა

9.1. ბანკი არაა პასუხისმგებელი Google Pay-ს გამოყენებით კლიენტის მიერ მიღებულ ზიანზე/ზარალზე, თუ აღნიშნული წარმოადგენს კლიენტის არამართლზომიერი ქმედების, წინამდებარე პირობების ან/და Google Pay-ს წესებისა და პირობების დარღვევის შედეგს.

10. ცვლილებები და დამატებები

10.1. პირობებში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება ანგარიშით მომსახურების პირობების შესაბამისად.

10.2. ნებისმიერ შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პირობებში გათვალისწინებული წესები, ტარიფები ან/და სხვა შემადგენელ დოკუმენტებში მოყვანილი წესები, პირობები ან/და ტარიფები იმისათვის, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს ბანკში დადგენილ ახალ წესებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და შესაბამის კანონმდებლობასთან.